ტერმინალით მომსახურების სტანდარტული პირობები

1. ტერმინთა განმარტება

- **ბარათი – ემიტენტის** მიერ გამოშვებული პლასტიკური ბარათი.
- **ავტორიზაცია** - **ემიტენტის** და/ან საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ან მისი რეკვიზიტებით ოპერაციის განხორციელებაზე.
- **ემიტენტი –** პირი, რომელიც ახდენს **ბარათების** გამოშვებას.
- **ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სავაჭრო/მომსახურების ობიექტში **ბარათით** გადახდის განსახორციელებლად.
- **საბარათე ოპერაცია** - **ბარათის** გამოყენებით და **ტერმინალის** მეშვეობით განხორციელებული უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია.
- **აფილირებული პირი** - **ბანკის** აფილირებული პირი, შპს ,,საბანკო სისტემის სერვის კომპანია" (**ტერმინალების** მომსახურებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორი პირი).
- **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** კონტექსტის შესაბამისად;
- **დღის დახურვა (შედეგების შედარება)** - სამუშაო დღის განმავლობაში **ტერმინალის** მეშვეობით განხორციელებული **ტრანზაქციების დამუშავება**.
- **ტრანზაქციის დამუშავება** - სამუშაო დღის განმავლობაში **ტერმინალის** მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება **აფილირებული პირისათვის**.
- **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების** მხარეს.
- **საოპერაციო დღე** - პერიოდი, **ბანკის** ფილიალების და ს/ც მუშაობის საათებიდან გამომდინარე.
- **მომხმარებელი** - ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს **ბარათით**.
- **მომსახურების ობიექტ(ებ)ი** - **განაცხადის** N1 დანართით განსაზღვრული **კლიენტის** ობიექტ(ებ)ი (სავაჭრო/მომსახურების ობიექტები), სადაც **კლიენტი** ახორციელებს **მომხმარებლების** მომსახურებას.
- **დანართი** - **მხარეთა** შორის შეთანხმებული ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- **ტრანზაქცია** - **ავტორიზაციისა** და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა.
- **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა.
- **განაცხადი** - **კლიენტის** მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლითაც ის ეთანხმება წინამდებარე სტანდარტულ პირობებს და ტერმინალით მომსახურების ტარიფებს.
- **ხელშეკრულება** - წინამდებარე სტანდარტული პირობები, **განაცხადი** და ნებისმიერი სხვა **დანართი** (მათ შორის ტერმინალით მომსახურების ტარიფების) ერთობლივად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ბანკი და აფილირებული პირი განაცხადის დანართი №1-ში მითითებულ კლიენტის მომსახურების ობიექტ(ებ)ს უზრუნველყოფენ ტერმინალებით, რომელთა გამოყენებითაც კლიენტი საკუთარ მომხმარებლებს შესთავაზებს მომსახურებას, რაც გულისხმობს გაწეული მომსახურების და/ან რეალიზებული საქონლის ღირებულების ბარათით გადახდას, რომლის შედეგადაც მიღებულ თანხებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პირობებით, ბანკი ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1 კლიენტი უფლებამოსილია:

3.1.1. ბანკს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვანი შესრულება;

3.1.2. წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება ბანკის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.2 კლიენტი ვალდებულია:

3.2.1. ბანკისგან და/ან აფილირებული პირისგან ჩაიბაროს ტერმინალები;

3.2.2. ბარათით ავტორიზაციის ჩატარება მოითხოვოს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში;

3.2.3. ბანკისგან და/ან აფილირებული პირისგან ბანკის ბარათების გამოყენების შესახებ მიღებული სარეკლამო-საინფორმაციო მასალები განათავსოს მომსახურების ობიექტ(ებ)ში მათთან შეთანხმებულ ადგილებში;

3.2.4. არ გადასცეს მესამე პირებს ინფორმაცია ბარათებით ჩატარებულ ოპერაციებზე და არ მისცეს მათ ნება მონაცემები გამოიყენონ ბანკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევისას კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზარალი.

3.2.5. გამოიყენოს ბანკისგან და/ან აფილირებული პირისგან მიღებული ტერმინალები და შესაბამისი მასალები მხოლოდ ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება. კლიენტის ბრალით ტერმინალის დაკარგვა/დაზიანების შემთხვევაში ბანკს გადაუხადოს ჯარიმა თითოეული დაკარგული/დაზიანებული ტერმინალის ღირებულების სრული ოდენობით, დაკრგვის/დაზიანების ფაქტზე აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.2.6. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ან ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემთხვევაში ბანკს და/ან აფილირებულ პირს დაუბრუნოს გადაცემული ტერმინალები ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან ვადის გასვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს დასაბრუნებელი ტერმინალების სრული ღირებულება ამ პუნქტში აღნიშნული ზღვრული ვადის გასვლიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

3.2.7. წინასწარ, გონივრულ ვადაში, შეატყობინოს ბანკს ნებისმიერი არსებული და/ან მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მიზნების, მხარეთა უფლებებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

3.2.8. მომსახურების ობიექტ(ებ)ის (სავაჭრო ცენტრის) დახურვის შემთხვევაში დაუყონებლივ მოახდინოს ბანკის ინფორმირება და მომსახურების ობიექტ(ებ)ში განთავსებული ტერმინალ/ებ/ის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ჯარიმა ტერმინალის ღირებულების სამმაგი ოდენობით.

3.2.9. გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, მომხმარებელს არ განუცხადოს უარი ბარათით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობას ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს, პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ამ უფლებით ბანკს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას;

3.2.10 შეინახოს ელექტრონული ქვითრები 6 (ექვსი) თვის ვადით და გადასცეს ბანკს წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

3.2.11 ოპერაციები განახორციელოს ხელშეკრულებას თანდართული დანართებით და ინსტრუქციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

3.2.12 მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ მოითხოვოს საკომისიოს გადახედვის შესახებ საკითხის განხილვა.

3.2.13 ბანკს გადაუხადოს საკომისიო სტანდარტული პირობების დანართი N1-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2.14 ამ სტანდარტული პირობების 3.3.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას დაუყოვნებლივ შეასრულოს ბანკის მოთხოვნა.

3.2.15 კლიენტი აცხადებს, რომ გაცნობიერებული აქვს და ეთანხმება შემდეგს: არ გააძვირებს გასაწევი მომსახურების და/ან სარეალიზაციო საქონლის ღირებულებას იმის გამო, რომ ბარათის ნებისმიერი მფლობელი გამოთქვამს სურვილს გამოიყენოს ტერმინალი, როგორც გაწეული მომსახურების და/ან საქონლის ღირებულების გადახდის საშუალება.

3.2.16 საჭიროების შემთხვევაში დროულად არაუგვიანეს ყოველი მომდევნო დღის 9:00 საათამდე დახუროს წინა დღე და მოახდინოს წინა დღის ტრანზაქციის დამუშავება.

3.2.17 კლიენტი ვალდებულია არ მოახდინოს სტანდარტული პირობების პირველი მუხლით განმარტებული პლასტიკური ბარათით თანხის განაღდება, ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას ვალდებულია არ განახორციელოს უსაქონლო ოპერაციები, თანხის განაღდება, მომსახურების ან/და ნივთის ნაცვლად მომხმარებელზე ნებისმიერი ოდენობის თანხის გადაცემა.

3.2.18 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს 3.3.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით განსაზღვრული ბანკის მოთხოვნა.

3.3 **ბანკი უფლებამოსილია**

3.3.1 კლიენტს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

3.3.2 კლიენტის მიერ ხელშეკრულების ერთი წლის განმავლობაში ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში თუ იგი აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 30 კალენდარული დღით ადრე არ აცნობებს წერილობით ბანკს, (გარდა ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისა), ბანკი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული ზარალი. ამ უფლებით ბანკს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას;

3.3.3 თუ ბანკის მიერ სტანდარტული პირობების 3.4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების კონკრეტული შესრულების შემდგომ აღმოჩნდება, რომ ადგილი ჰქონდა სტანდარტული პირობების 3.2.17. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების კლიენტის მხრიდან დარღვევის ფაქტს, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს მოსთხოვოს ამ კონკრეტული გადახდილი თანხის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება.

3.4 ბანკი ვალდებულია

3.4.1 კლიენტს ჩააბაროს ტერმინალები;

3.4.2 მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (მხოლოდ 3.2.15. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებისას) ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხოს ბარათით ჩატარებული ოპერაციების თანხები ოპერაციების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, სტანდარტული პირობების დანართ N1-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3.4.3 თავისი და/ან აფილირებული პირის მეშვეობით კლიენტთან შეთანხმებულ ადგილებში მოაწყოს ბარათის მომსახურების წერტილები, დააინსტალიროს ტერმინალები და განახორციელოს საჭირო ტესტირება;

3.4.4 თავისი და/ან აფილირებული პირის მეშვეობით მოამარაგოს კლიენტი ტერმინალებით და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მასალებით;

3.4.5 კლიენტის თანამშრომლებს შეასწავლოს ბარათით გადახდის წესები და შეამოწმოს მათი მუშაობის სისწორე;

3.4.6 თავისი და/ან აფილირებული პირის მეშვეობით უზრუნველყოს ავტორიზაციის შეუფერხებლად ჩატარება 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, როგორც სამუშაო, ისე დასვენების დღეებში;

3.4.7 ტექნიკური დახმარება გაუწიოს კლიენტს ტერმინალების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში;

3.4.8 წინასწარ, გონივრულ ვადაში, შეატყობინოს კლიენტს ნებისმიერი არსებული და/ან მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მიზნების, მხარეთა უფლებებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

4. მომსახურების გაწევისათვის დაწესებული საკომისიო

4.1. ბანკის მიერ კლიენტისგან მისაღები ტერმინალის გამოყენების საკომისიოს ოდენობა, გადახდის წესი ბარათით ჩატარებული ყოველი ოპერაციის შემთხვევაში, ასევე ფასდათმობის ოდენობა ყოველ შემენილ ნივთზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული სტანდარტული პირობების დანართი N1-ით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

5. პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

5.2 სტანდარტული პირობების 3.2.17. პუნქტით გათვალისწინებული პირობის კლიენტის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში ბანკი თავისუფლდება სტანდარტული პირობების 3.4.2. და 5.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

5.3 ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტსა და ბარათის მფლობელს შორის წამოჭრილ დავაზე.

5.4 სტანდარტული პირობების 3.2.17. პუნქტით გათვალისწინებული პირობის კლიენტის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ჯარიმა დამუშავებული ტრანზაქციის ოდენობის სამმაგი ოდენობით.

5.5 კლიენტი მის მიერ მომხმარებელზე ნივთის ან/და მომსახურების სანაცვლოდ თანხის გადაცემის შემთხვევაში ვალდებულია, ბანკს დაუყოვნებლივ გადაუხადოს კლიენტისათვის გადასახდელი ან/და გადახდილი თანხის სამმაგი ოდენობა, ასევე, ვალდებულია ბანკს დაუყოვნებლივ უკან დაუბრუნოს გადასაცემი ნივთის ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულება სრულად.

6. მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის კლიენტი მიერ განაცხადის ხელმოწერისა და ბანკის მიერ მისი დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

6.2 თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს უარს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, იგი ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადით;

6.3 მომსახურების ან/და ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია:

6.3.1 ბანკის მიერ, კლიენტისათვის არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული ვადის დაცვა არ არის სავალდებულო, თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ რაიმე ვალდებულებას.

6.3.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

6.3.3 კლიენტის მიერ ბანკისათვის არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ ბანკი დაარღვევს ხელშეკრულებით

ნაკისრ რაიმე სახის მნიშვნელოვან ვალდებულებას და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება კრედოს მიერ კლიენტისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნით არსებობისას;

6.3.5 მხარეთა შეთანხმებით.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ (გონივრულ ვადაში) წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და დასრულების შესახებ.

8. კომუნიკაცია მხარეთა შორის

8.1 მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ან/და ელექტრონულ ფორმას.

8.2 შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ ფაქტობრივ ან/და ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის ან/და უშუალოდ მისამართის არარსებობის გამო ან/და თუ ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.

8.3 მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფაქტობრივ და ელექტრონულ მისამართებზე. თითოეული მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული კომუნიკაცია ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

9. კონფიდენციალურობა

9.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი მესამე პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

9.2. თუ უშუალოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია მესამე პირისთვის.

9.3. თუ ის ცნობილი იყო მხარისათვის ხელშეკრულების გაფორმებამდე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.4. რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა კანონმდებლობით.

9.5. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე:

9.6. კლიენტის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს, თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია ბანკის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, კლიენტის მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში) ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

10 პრეტენზიები და დავები

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.
10.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. ზოგადი პირობები

11.1. უშუალოდ წინამდებარე დოკუმენტსა და მისი დანართით განსაზღვრულ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება დანართით განსაზღვრულ პირობებს.
11.2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები კლიენტმა უნდა შეასრულოს პირადად. კლიენტი არ არის უფლებამოსილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი) მიიღოს მესამე პირისგან.
11.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რაიმე პირობა, კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ გავრცელდება კლიენტზე მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს ხელშეკრულების სრულად ბათილობას და კლიენტზე გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.
11.4. ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული ხელშეკრულებით, რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად.

სტანდარტული პირობების დანართი №1

1. ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაურიცხოს ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციისა ან/და ნივთის ღირებულების თანხა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული საკომისიო/ებ/ის გამოკლებით.
2. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს კლიენტისათვის ჩასარიცხი თანხა; თუ თანხა არ ფარავს დავალიანებას ბანკის მიმართ, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან ჩამოწეროს თანხა, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას, სხვა და სხვა ვალუტაში თანხების ჩამოწერის შემთხვევაში ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსით. ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში ბანკი წერილობით აცნობებს კლიენტს დავალიანების შესახებ.
3. მხარეთა შეთანხმებით საკომისიოს ოდენობა, რომელსაც კლიენტი გადაუხდის ბანკს ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციისათვის შეადგენს:

- ბანკის ნებისმიერი ბარათით ჩატარებული საბარათე ოპერაციისათვის შეადგენს თითოეული ტრანზაქციის თანხის 1.5%-ს.
- პარტნიორი კომერციული ბანკის ბარათით Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro ჩატარებული საბარათე ოპერაციისათვის შეადგენს თითოეული ტრანზაქციით გატარებული თანხის - 1.6%-ს.

- საქართველოში ნებისმიერი რეგისტრირებული არაპარტნიორი კომერციული ბანკის Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro ბარათით ჩატარებული საბარათე ოპერაციისათვის შეადგენს თითოეული ტრანზაქციით გატარებული თანხის - 1.7%-ს.
- უცხო ქვეყნის კომერციული ბანკის Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro ბარათით ჩატარებული საბარათე ოპერაციისათვის შეადგენს თითოეული ტრანზაქციით გატარებული თანხის - 1.7%.

4. კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ტერმინალით მომსახურებისათვის გათვალისწინებული საკომისიო შემდეგი წესითა და ოდენობით:

- იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ყოველთვიური ბრუნვა იქნება **5000 (ხუთი ათასი) ლარზე** ნაკლები საკომისიოს ოდენობა შეადგენს **25 (ოცდახუთი) ლარს,** ამასთან პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში საკომისიო შეადგენს - **0 ლარს.**
- პოს-ტერმინალის გაყიდვის პროექტის (აქციის) ფარგლებში ჩართული კლიენტებისათვის, რომელთა ყოველთვიური ბრუნვა იქნება **5000 (ხუთი ათასი) ლარზე** ნაკლები საკომისიოს ოდენობა შეადგენს **25 (ოცდახუთი) ლარს**, ამასთან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში საკომისიო შეადგენს - **0 ლარს.** ბანკს უფლება ექნება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურეობის საკომისიოს ტარიფები კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე. საკომისიოს ოდენობის (მომსახურების ტარიფების) ცვლილების შესახებ ინფორმაცია ცვლილებების ძალაში შესვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე პირადად ეცნობება კლიენტს სმს-ის, ელექტრონული ფოსტის ან/და კურიერის მეშვეობით. ამასთან, თუ ხელშეკრულების რაიმე პირობის ცვლილება აუმჯობესებს კლიენტის მდგომარეობას, ბანკი თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისგან.
- საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება კლიენტის ნებისმიერი ტიპის ანგარიშიდან, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

სტანდარტული პირობები დანართი N2

ტერმინალის მომზადება სამუშაო პროცესისთვის

სამუშაო დღის დაწყებამდე, სასურველია ტერმინალის გადატვირთვა, რათა მომზადდეს იგი მომდევნო სამუშაო დღისათვის.

ტერმიენლის გადატვირთვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- გამოვრთოთ ტერმინალი დენის წყაროდან
- დავაჭიროთ წითელ ღილაკს, რამდენიმე წამით თითის აუღებლად, სანამ ტერმინალი არ გაითიშება
- შევაერთოთ დენის წყარო ტერმინალში, რის შემდეგაც ტერმინალი ავტომატურად ჩაირთვება. თუ ტერმინალი ავტომატურად არ ჩაირთვება დააჭირეთ მწვანე თილაკს რამდენიმე წამით თითის აუღებლად, სანამ ტერმინალი არ ჩაირთვება.

პოს-ტერმინალს აქვს განყოფილება, სადაც მოთავსებულია ქვითრის ქაღალდი. თუ პოს-ტერმინალი დაიწყებს მანიშნებელი წითელი ზოლებით ქვითრის ბეჭდვას ე.ი ქაღალდი მალე ამოიწურება და უნდა შეიცვალოს.

ბარათის გატარება

ბარათით ოპერაციის შესრულება შესაძლებელია როგორ ჩიპის ისე მაგნიტური ზოლის გამოყენებით. ბარათის გატარების დროს (თუ ბარათი არის უჩიპო) ბარათის მაგნიტური ზოლი უნდა იყოს ქვედა მარცხენა მხარეს მიმართული.

ტრანზაქციის დასულების შემდეგ ტერმინალზე იბეჭდება ქვითარი.

გაითვალისწინეთ, რომ ორი ქვითარი იბეჭდება მხოლოდ წარმატებულად დასრულებული ოპერაციისა ან რევერსალის (წარმატებული ოპერაციის გაუქმების) შემდეგ. წარუმატებელი (უარყოფილი) ტრანზაქციის შემთხვევაში იბეჭდება მხოლოდ ერთი ქვითარი.

წარმატებული ტრანზაქციის ქვითარზე RESPONS CODE-ში მითითებული ექნება 000-ები.

მოლარე აუცილებლად უნდა დააკვირდეს ამ კოდს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს მომხმარებელს შეძენილი ნივთი.

ყველა სხვა კოდი არის უარყოფის კოდი და მომხმარებელს არ ჩამოეჭრება თანხა ბარათიდან.

ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი უარყოფის კოდები:

კოდი	**მნიშვნელობა**
000	**წარმატებული ავტორიზაცია**
100	**უარი !** მიზეზის მითითების გარეშე.
101, 201	**უარი !** ბარათი ვადაგასულია.
106,206	**უარი !** ბარათი დაბლოკილია პინის სამჯერ არასწორად აკრეფვის გამო
110	**უარი !** არასწორი თანხა
116	**უარი !** მომხმარებელს არ აქვს საკმარისი თანხა ბარათზე
117	**უარი !** არასწორი პინ კოდი
119	**უარი !** ტრანზაქცია არ არის ნებადართული მომხმარებისათვის
120	**უარი !** ბარათი ტარდება არასწორ ტერმინალზე
121	**უარი !** მომხმარებელი აჭარბებს 24 საათიან განაღდების ლიმიტს. ხოლო თუ ტრანზაქციის თანხა 1500 $ ზე ნაკლებია ე.ი. ისეთ ტერმინალზე ჩამოტარდა სადაც არ გვაქვს სერვისი.
128	**უარი !** ტექნიკური ხარვეზი

208	**უარი !** ბარათი დაბლოკილია დაკარგულის სტატუსით
400	**უარი !** თანხა დარევერსდა და დაბრუნდა ბარათზე
909,910,911	**უარი !** სისტემური ხარვეზი

ტერმინალი, ყოველი დღე, ობიექტის მიერ მითითებულ დროს, ავტომატურად აკეთებს დღის დახურვას და ამოდის გატარებების რეპორტი სრულად. დღის დახურვის ქვითარში ჩანს ყველა გატარებული და დარევერსებული ტრანზაქცია, შესაბამისი თანხები. დღის დახურვის შემდეგ შესრულებული ოპერაციები მოხვდება მომდევნო დღის დახურვის პროცესში და დამუშავდება მომდევნო დღის ტრანზაქციებთან ერთად.

უსაფრთხოების ზომები ბარათით მომსახურებისას

ბარათი უნდა გამოიყენოს მხოლოდ კანონიერმა მფლობელმა.

ბარათით ჩატარებული არაკანონიერ ქმედებებად იგულისხმება სხვისი ბარათის გამოყენება.

ბარათით ოპერაციის ჩატარებისას ყურადღება მიაქციეთ ბარათის მოქმედების ვადას და დარწმუნდით რომ ბარათი არ არის დაზიანებული.

პოს-ტერმინალით შესაძლებელია ბანკის მიერ გამოშვებული ბარათების მომსახურება ასევე, Visa Electron/Visa,MasterCard/Maestro-ს საერთაშორისო საგადახდო ბარათების მომსახურება.

ბარათის მოქმედების ვადაში მითითებულია მხოლოდ თვე და წელი. ბარათის მოქმედია თვის ბოლო რიცხვამდე.

ტერმინალიდან ჩეკის ამობეჭდვის შემდგომ დარწმუნდით, რომ ჩეკზე დაბეჭდილი ბარათის ნომერი ემთხვევა ბარათზე არსებულ (ემბოსირებულ) ბარათის ნომერს (პირველი 6 ციფრი და ბოლო 4 ციფრი)

ბარათთან ან ბარათის მფლობელთან მიმართებაში რაიმე ეჭვის შეტანისას, ან თუ ბარათზე ემბოსირებული ნომერი არ ემთხვევა ჩეკზე დაბეჭდილ ნომერს, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ბარათის მფლობელის პირადობის დამადასტურებელი საბუთი. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს და შეასრულოს მისი მომდევნო ინსტრუქციები.

თითოეული შესრულებული ოპერაციის ჩეკი ობიექტმა უნდა შეინახოს 6 კალენდარული თვის განმავლობაში.